საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030676949512219

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/1562 **25 / აპრილი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის
დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ მარინა დარახველიძეს

ქალბატონო მარინა,

თქვენი ა.წ. 12 აპრილის #01/6536 წერილის პასუხად გიგზავნით ინფორმაციას, სამთავრობო პროგრამის: „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა 2018-2020“ შესრულების მიმდინარეობის თაობაზე (2018 წ. სექტემბრიდან 2019 წ. მარტის ჩათვლით პერიოდი), დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში:

მაღალი რისკის ჯგუფებში გრიპის პროფილაქტიკისთვის, სახელმწიფოს მიერ პირველად იქნა შეძენილი 44000-მდე დოზა სეზონური გრიპის ვაქცინა, რაც 2-ჯერ მეტია გასული სეზონისთვის შეძენილ ვაქცინასთან შედარებით.

„სეზონური გრიპის შემთხვევათა მკურნალობისა და გრიპის გავრცელების მართვისთვის საჭირო ანტივირუსული მედიკამენტით უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 4 იანვრის N01-4/ო ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური სამსახურების მიერ მოხდა ანტივირუსული პრეპარატების გაცემის ორგანიზება მთელი ქვეყნის მასშტაბით. გრიპის შემთხვევების მკურნალობის მიზნით, სახელმწიფოს მიერ დაავადებულებისთვის უსასყიდლოდ გაიცა 5240 კოლოფი ანტივირუსული პრეპარატი - ტამიფლუ. დისტრიბუცია რაიონულ ცენტრებამდე 2-ჯერ განხორციელდა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 12 იანვრის N01-19/ო ბრძანების თანახმად, სჯდ ცენტრების მიერ მედიკამენტის გაცემა ხორციელდებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა NIV/100-ა საფუძველზე შემდეგ მოსარგებლეებზე:

ა) ორსულებზე/მელოგინეებზე;
ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს;
გ) ბავშვებზე (0-18 წლამდე ასაკის მოსახლეობა);
დ) ხანდაზმულებზე (ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან);
ე) გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების მქონე პაციენტებზე;
ვ) ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებზე;
ზ) სასუნთქი სისტემის დაავადებების მქონე პაციენტებზე;
თ) დიაბეტის მქონე პაციენტებზე;
ი) ყველა სხვა პაციენტზე;

5 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით პრეპარატი ტამიფლუ მუნიციპალური სჯდ ცენტრებიდან გაიცა 3632 პირზე.

წითელას გავრცელების პრევენციის მიზნით საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის 2019 წლის 18 იანვრიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით უფასოდ გახდა შესაძლებელი წითელას კომპონენტიანი ვაქცინით იმუნიზაცია. აღნიშნული შესაძლებლობით საანგარიშო პერიოდამდე უკვე ისარგებლა 120 000-ზე მეტმა მოქალაქემ.

გლობალური ფონდის შიდსის პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, აივ ინფექციის/შიდსის პრევენციის მიმართულებით გრძელდება გეგმური პროფილაქტიკური საქმიანობა მაღალი რისკის ჯგუფებში (ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებში, მსმ-ებში, კომერციულ სექსმუშაკებსა და პატიმრებში).

პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ანტირეტროვირუსულ თერაპიაზე მყოფი 4,597 პაციენტის მკურნალობის დამყოლობის მხარდაჭერის აქტივობები, მათ შორის, მობილური ჯგუფების მიერ (4 ასეთი ჯგუფი ფუნქციონირებს). დაწყებული იქნა კონსულტაციები გლობალური ფონდის დაფინანსების შემცირების გამო მიმდინარე პროგრამების მდგრადობის საჭიროებების სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გასათვალისწინებლად.

გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის ფარგლებში პირველადი ჯანდაცვის დონეზე ტუბერკულოზის, აივ-ინფექციის და C ჰეპატიტის ინტეგრირებული სკრინინგის დანერგვის მიზნით აჭარის რეგიონში ტრენინგი ჩაუტარდა 200 ოჯახის ექიმს და 200 ექთანს.

მიმდინარეობს თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის ახალი რეგულაციების დანერგვის მხარდამჭერი საკომუნიკაციო კამპანია: სატელევიზიო მედია ადვოკატირება, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და მხარდაჭერის მიზნით. მიმდინარეობს სამიზნე დაწესებულებებში თამბაქოს შესახებ კანონმდებლობის აღსრულებისა და დანერგვის მონიტორინგი, ასევე - აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენელთა ტრენინგი. 112-ის მობილურ აპლიკაციაში ჩაშენდა თამბაქოს კომპონენტი და შესაძლებელია თამბაქოს კანონდარღვევაზე 112-ში ინფორმაციის გაგზავნა მოკლე ტექსტური შესტყობინების (sms) საშუალებით. კვირაში 7 დღე ფუნქციონირებს თამბაქოსთვის თავის დანებების ცხელი ხაზი.

2018 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე პერიოდში საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) ფარგლებში, რომელიც შინამეურნეობების ყველაზე დიდი კვლევაა მსოფლიოში, პირველად ჩატარდა ტყვიის კომპონენტის კვლევა. ტყვიის დონის განსასაზღვრად, ვენური სისხლის სინჯები შეგროვდა 2-7 წლის 1578 ბავშვისგან საქართველოს მასშტაბით. ბავშვების კვლევაში ჩართვა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და სინჯები გაიგზავნა იტალიის ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში (ISS), რომელიც წარმოადგენს ევროპის წამყვან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტიტუტს. ტყვიის შემცველობაზე სისხლის ნიმუშის კვლევისას გამოყენებული იყო ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმის მას-სპექტრომეტრი (ICP MS), რაც რაც წარმოადგენს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ ერთ-ერთ საუკეთესო სტანდარტს. კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში ბავშვების 25%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა მერყეობს 5-10 მკგ/დლ (მიკროგრამი დეცილიტრზე) ფარგლებში, რაც მიუთითებს მსუბუქ მატებაზე, ხოლო ბავშვების 16%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 10 მკგ/დლ-ს.

კიბოს ადრეული გამოვლენის მიზნით, ქვეყნის მოსახლეობაში (გარდა ქ. თბილისში რეგისტრირებული მოსარგებლეებისა, რომელსაც აფინანსება ქ. თბილისის მერია) ტარდება შემდეგი სახის სკრინინგული გამოკვლევები:

- ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ასაკის ქალებში;
- საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ასაკის ქალებში;
- პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის ასაკის მამაკაცებში;
- კოლორექტალური კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ორივე სქესის მოქალაქეებისათვის.

2018 წლის სექტემბრიდან დღემდე C ჰეპატიტზე ქვეყნის მასშტაბით სულ შემოწმებულია 323,675 პირი, მათ შორის, გამოვლენილია დადებითი 16,100 ახალი შემთხვევა (4,9%). სულ, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში, სკრინინგი ჩატარებული აქვს 1.635.737 პირს (ტესტების რაოდენობა - 2,639,956), მათ შორის გამოვლენილია 132.048 დადებითი შემთხვევა (8,07%). წლის განმავლობაში იგეგმება C ჰეპატიტის სკრინინგის არეალის გაფართოება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაფინანსებული პირველად ჯანდაცვაში ინტეგრირებული ტანდემ-ტესტირების (ტუბერკულოზზე, აივ-ინფექცია/შიდასსა და C ჰეპატიტზე) პროექტების ფარგლებში, რაც დამატებით გაუადვილებს მოქალაქეებს აღნიშნული მომსახურების მიღების შესაძლებლობას. ასევე, C ჰეპატიტის სკრინინგისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, იუსტიციის 3 სახლში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) 9 ოქტომბრიდან, ხოლო იუსტიციის დანარჩენ 9 სახლში (ზუგდიდი, ფოთი, ოზურგეთი, გორი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, თელავი, გურჯაანი) 22-24 ოქტომბრიდან გახსნილ მუდმივმოქმედ სკრინინგ წერტილებში სკრინინგი ჩაუტარდა 47.301 მოქალქეს, მათ შორის C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი აღმოჩნდა 1,312 პირი (3,0%). მათ შორის:

2019 წლის 21 აპრილის მდგომარეობით, იუსტიციის სახლებში სკრინინგით დადებითი 1,312 ბენეფიციარიდან, შემდგომი კონფირმაციული კვლევა ჩაიტარა 684 პირმა (52%), აქედან აქტიური

ინფექციის მატარებელი აღმოჩნდა 546 პირი (80%), აქედან მკურნალობაში ჩაერთო 288 პირი (53%).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე